



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №52

2011 წლის 29 აპრილი  
ქალაქი ხაშური




ხაშურის მუნიციპალიტეტში სახალხო დღესასწაულის „ყიფიანობის“ დაწესების და მოსამზადებელი ღონისძიებების უზრუნველყოფის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის

16-ემუხლის 3-ე პუნქტის შესაბამისად,

1. ხაშურის მუნიციპალიტეტში სახალხო დღესასწაულის „ყიფიანობის“ დაწესების უზრუნველსაყოფად:
  - შეიქმნას დიმიტრი ყიფიანის დაბადებიდან 200 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებათა ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტი N1 დანართის შესაბამისად;
  - დამტკიცდეს დიმიტრი ყიფიანის დაბადებიდან 200 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებათა გეგმა N2 დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1 ივნისისა წარუდგინოს წინადადებები საკრებულოს შესაბამის კომისიას წარმოდგენილი ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ფინანსების და მათ გამოყოფასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ;
3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (კოსტავას ქ. №15) მისი გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე



დიმიტრი ყიფიანის დაბადებიდან 200 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებათა

ჩამტარებული საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა:

- დავით ლომიძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - კომიტეტის თავმჯდომარე;
- ოთარ ხაჩიძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;
- ალექსანდრე ქარქაშაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი - კომიტეტის წევრი;
- იოსებ ბუაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი - კომიტეტის წევრი;
- ნინო მჭედლიშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - კომიტეტის წევრი;
- დარეჯან გუგბერიძე - ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი - კომიტეტის წევრი;
- რევაზ ნოზაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი - კომიტეტის წევრი;
- ნუგზარ მეტრეველი - ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქვიშხეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული - კომიტეტის წევრი;
- ზურაბ აბრამაშვილი - ხაშურის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული - კომისიის წევრი;
- მანანა ბასიშვილი - ქვიშხეთის საჯარო სკოლის დირექტორი - კომიტეტის წევრი;
- დათუნა სირბილაძე - დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის კოორდინატორი - კომიტეტის წევრი;

დიმიტრი ყიფიანის დაბადებიდან 200 წლისთავის აღსანიშნავად გასატარებულ  
ღონისძიებათა გეგმა:

1. ქ. ხაშურში დიმიტრი ყიფიანის ქუჩაზე მემორიალის აღდგენა და მისი საზეიმო ვითარებაში გახსნა;
2. სოფელ ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპოზიციის მოწყობა;
3. 2011 წლის ივნისის თვეში ქ. ხაშურსა და სოფელ ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა;
4. ქ. ხაშურში რკინიგზის სადგურის შენობაზე დიმიტრი ყიფიანის მემორიალური დაფის გაკეთება;
5. 2011 წლის ივნისში სოფელ ქვიშხეთში სახალხო დღესასწაული „ყიფიანობის“ აღნიშვნა;
6. ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში დიმიტრი ყიფიანის ხსოვნის გაკვეთილის ჩატარება;
7. ხაშურის მუნიციპალიტეტიდან წარჩინებული სტუდენტისათვის დიმიტრი ყიფიანის სახელობის სტიპენდიის დაწესება, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში;
8. ხაშურის მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის გაწეული განსაკუთრებული სამსახურისათვის დიმიტრი ყიფიანის სახელობის მედლის დაწესება (შემუშავდეს დებულება).